სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 10 დეკემბერი, 2021
სხდომის დაწყების დრო: 23:00 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციური სხდომა

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ნათია კორკოტაძე, დათუნა მოდებაძე, მამუკა ნოზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ვასილ ოსეფაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ვასილ ოსეფაშვილის 2021 წლის 10 დეკემბრის 17:06 საათზე შემოსულ განცხადებას ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატურის მოხსნის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის წესდების 13.[1] მუხლის, 13.[1]5 პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13.[1] მუხლის, 13.[1]5. პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ვასილ ოსეფაშვილის განცხადება ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატურის მოხსნის შესახებ.

დავით ასათიანი
თავმჯდომარე